სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო

მარშალ გელოვანის გამზ. N36ა
0159 თბილისი, საქართველო
(+995 32) 2 91 91 67
info@nfa.gov.ge

29 ოქტომბერი 2025

N 09/12192

ა(ა)იპ რაჭის სათემო ორგანიზაცია
ქალბატონ ეთერ არსანიძეს
(e.mail: earsanidze@gmail.com)

ქალბატონო ეთერ,

თქვენი 2025 წლის 09 ოქტომბრის №01-2025 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული დეპარტამენტის უფლებამოსილი პირების მიერ 16 ოქრომბერს განხორციელდა შპს „მბკ პური“-სა და ი.მ. „კესო ბაბუაძე’’-ს სახელმწიფო კონტროლი, მათ შორის სურსათის (პური) ნიმუშების აღება.

სახელმწიფო კონტროლის დროს აღებული ნიმუშები პური „ბატონი“ (დამზადების თარიღი 16/10/2025) და ბატონი პური „რუხი“ (დამზადების თარიღი 16/10/2025) გამოკვლეული იქნა სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში.

ლაბორატორიული კვლევის შედეგებით (გამოცდის ოქმები: №9294, 24.10.2025; №9295, 24.10.2025) შეუსაბამობა (მათ შორის რადიონუკლიდები) არ გამოვლენილა.

ბიზნესოპერატორებთან კრიტიკული შეუსაბამობები არ დაფიქსირებულა. დაცულია სურსათის შენახვის პირობები და ვარგისიანობის ვადები. ბიზნესოპერატორებს უზრუნველყოფილი აქვთ მიკვლევადობა.

აქვე დამატებით გაცნობებთ, რომ შპს „მბკ პური“-ს სახელმწიფო კონტროლისას დაფიქსირდა მომხმარებლისთვის სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის დარღვევა (წარმოებულ სურსათს, პურს და ფუნთუშას არ გააჩნდა ეტიკეტი) და ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 66-ე მუხლის მე-6 ნაწილით.

დანართი 4 ფურცელი.

პატივისცემით,

გიორგი იაკობაშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

https://edocument.ge/mea/public/#/12192-09-2-202510291720

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE